შპს ბოში გრუპი

2019 წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 3

2019 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

2019 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 5

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო 6
2. მომზადების საფუძველი 6
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა 7
4. შემოსავალი 7
5. სხვა ხარჯები 7
6. ძირითადი საშუალებები 7
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 8
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 8
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 8
10. გადასახადები 8
11. კაპიტალი 8
12. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა 9
13. დაკავშირებული მხარეები 11
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები 11

(ა) შემოსავალი 11

(ბ) სხვა ხარჯები 11

(გ) ძირითადი საშუალებები 12

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 12

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	31/12/2019	01/01/2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	147,207	146,758
არამატერიალური აქტივები	4,386	3,272
სულ გრძელვადიანი აქტივები	**151,593**	**150,030**
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	472,802	516,079
ფული და ფულის ეკვივალენტები	270,482	163,758
მარაგები	3,162,795	2,967,961
სულ მიმდინარე აქტივები	**3,906,079**	**3,647,798**
სულ აქტივები	**4,057,672**	**3,797,828**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	3,991,443	3,255,648
სულ საკუთარი კაპიტალი	**3,991,643**	**3,255,848**
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები	804	149,017
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**804**	**149,017**
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33,110	376,395
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	32,115	16,569
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**66,029**	**392,964**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**4,057,672**	**3,797,828**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი: /_____/

მთავარი ბუღალტერი: /_____/

შპშ ბოში-გრუპ

2019 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	2019
შემოსავალი	5,820,383.67
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4,414,254
საერთო მოგება	**1,406,129**
სხვა შემოსავლები	188,377
დასაქმებულთა ანაზღაურება	196,355
ცვეთა და ამორტიზაცია	33,557
საპროცენტო ხარჯი	40,130
იჯარის ხარჯი	97,970
სხვა ხარჯები	75,292
საოპერაციო მოგება	**1,151,202**
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი)სავალუტო ოპერაციებიდან	-5,078
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	58,859
მოგება დაბეგვრამდე	1,204,983
მოგების გადასახადის ხარჯი	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**1,204,983**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ბოში-გრუპ

2019 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 1 იანვარი	200	3,255,848
პერიოდის სრული შემოსავალი		1,204,983
გაცემული დივიდენდები		469,188
2019 წლის 31 დეკემბერი	200	3,991,643

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

1.ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში,შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები,რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება.საკანონმდებლო,საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას,თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს,რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს.წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.მომავალი ბიზნეს გარემო შეიძება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბოში-გრუპ რეგისტრირებული არის ,,მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად,რონელიც დარეგისტრირდა 2008 წლის 04 მარტს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო,ქ. თბილისი,საბურთალოს რაიონი,მიცკევიჩის ქ. #24 ბ-3.კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 205243388;

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ,,საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში" (4754);

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
აკაკი ბაჩილავა	100%	100%

2.მომზადების საფუძველი

წინამდებარი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით,რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ,განავითარონ მისი საქმიანობა.მენეჯმენტს სჯერა,რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3.სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი,რადგან,როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა,ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს.ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას,წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	2019 წ.
შემოსავალი ძირითადი მომსახურებიდან	5,820,383
მომსახურების გაწევიდან	
სულ შემოსავალი	5,820,383

5.სხვა ხარჯები

ლარი	2019 წ.
ბანკის საკომისიო	29,262.4
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	5,936.75
დაზღვევის ხარჯი	20
რეკლამის და მიწოდების ხარჯი	38,36
სულ სხვა ხარჯები	112,906

6.ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალებების შემოსვლა	ძირითადი საშუალებების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს
ოფისის აღჭურვილობა	20782,75	0	0	4121,66	16661,09
ავეჯი და სხვა ინვენტარი	84303.83	3936.52	1817,88	17335,34	69087,13
სატრანსპორტო საშუალებები	48210	39859.31	44498,07	6102,57	37468,67
მანქანა-დანადგარები	0	29988,15	0	5997,63	23990,52
სულ ძირითადი საშუალებები	152569,83	73783,98	46315,95	33557,2	147207,41
არამატერიალური აქტივები	4386				4386
სულ აქტივები	156955,83				151593,41

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2019 წ.
სავაჭრო მოთხოვნები	472,802
გადახდილი ავანსები	0
წინასწარ გაწეული ხარჯი	0
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	472,802

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2019 წ.
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	32,590
სხვა ვალდებულება	32,635
მოკლევადიანი სესხები	804
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	66029

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 1 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის როგორც საბანკო ანგარიშებზე ისე სალაროში.

10. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით,2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.შედეგად,2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო ვალდებულება წარმოდგენილი აქვს 32,115 ლარის ოდენობით.

11.კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

წესდების მიხედვით,საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 200 ლარი.

(ბ) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელს (დამფუძნებელს) უფლება აქვს მიიღოს პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად,კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფასს-ის თანახმად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გაუნაწილებელი მოგების თანხამდე.2019 წლის განმავლობაში,კომპანიის მიერ მოხდა დივიდენდის გაცემა 469,188 ლარის ოდენობით.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა,თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე გაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას,რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

12. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა,რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან,ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის,ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში,შეფასების თარიღისთვის.თუმცა,შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე,რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული,როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა.კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით.შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა,რომელიც ასახავს ფასს,რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში.ხელმძღვანელობას სჯერა,რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზეზით,კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

-საკრედიტო რისკი

- ლიკვიდურობის რისკი

- საბაზრო რისკი

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე.მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების დამფუძნებლისათვის წარდგენა.კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის,რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები,განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები,ასევე განხორციელდესრისკების მონიტორინგი და დადგენილი

ზღვრის მკაცრი დაცვა.რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება,რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში.კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების,მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით,ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო,სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები.დამფუძნებელი ზედამხედველობას უწევს,თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში,რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რრისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი,როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან:კომპანიის მოთხოვნები,შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები.მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

საბალანსო ღირებულება

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	270,482	163,758
მოთხოვნები	472,802	516,079

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.კომპანიის პოლიტიკის თანახმად,კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი,რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას,რა\ტა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა,როგორც ჩვეულებრივ,ასევე კრიზისულ პერიოდში,არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს,მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების,მათ შრის ფინანსური ვალდებულებების

მომსახურების ხარჯების,დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში.თუმცა არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძო ზეგავლენებს,რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს,რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების,საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს,რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძელზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი.

კომპანიას სასაქონლო მარაგები შემოაქვს იმპორტით,შესაბამისად ანაზღაურება მომწოდებელთან ხდება უცხოურ ვალუტაში,აქედან გამომდინარე სავალუტო რისკი არსებითია კომპანიისთვის.სავალუტო კურსის მნიშნელოვანი ცვლილებები უარყოფითად აისახება კომპანიის გადასახდელ ვალდებულებებზე.

13. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღ შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2019 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	196,355

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ,,საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში" , ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით,კერძოდ ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების რეალიზაციის საფუძელზე, ამონაგების ფორმირება ხდება გაყიდული/უკან დაბრუნებული პროდუქციის მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით,თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს,რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღრებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძებელია მისი ღრებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა,დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში,საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მოვლენებს, რამაც გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე. კერძოდ 2020 წლის კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შედეგებმა და ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ (საყოველთაო კარანტინი და რეგულაციები) გამოიწვია კომპანიის მუშაობის შეჩერება თვენახევრის განმავლობაში.